1973/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

585/2

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს ფურცელი

27

№ 7 (390)

1973 წლის ივლისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 7 (390) ივლისი 1973 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

141. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების შესახებ.

142. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ.

143. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭოს მუდმივი კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ.

144. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ წყლის კოდექსის პროექტის შესახებ.

145. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ.

146. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ქართული ტექსტის 95[1] მუხლის სანქციის რედაქციული შესწორების შესახებ.

147. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. გ. ბოჭორიშვილის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

148. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ს. ვაშაკიძის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

კ. მარქსის სახ. სა

№ 7
ეროვნული
ბიბლიოთეკა

149. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ა. მეძმარიაშვილის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

განკოფილება მეორე

150. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. მასხარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

151. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ლ. საგინაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

152. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. გ. ტყავაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

153. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ვ. მისაბიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განკოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

141 საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხები განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ინფორმაცია მიღებული ზომების შესახებ წარმოუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 10 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

142 საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ

„საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ 1973 წლის 28 ივნისის კანონის („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1973 წ. № 6, მუხ. 118) შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისად საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანამდე, გამოიყენება საქართველოს სსრ შრომის კანონმდებლობის ის მოქმედი აქტები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან აღნიშნულ კოდექსს.

2. საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი გამოიყენება იმ შრომით სამართლებრივ ურთიერთობათა მოწესრიგებისას, რომლებიც წარმოიშობა კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ, ესე იგი 1973 წლის 1 ოქტომბრიდან.

1973 წლის 1 ოქტომბრამდე წარმოშობილ შრომით სამართლებრივ ურთიერთობაში კოდექსს იყენებენ იმ უფლებებისა და მოვალეობების მიმართ, რომლებიც წარმოიშობა კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ.

3. საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსით გათვალისწინებული წესი, რომელიც დადგენილი იყო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებით, გამოიყენება საფუძვლების შესაბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი წესის სამოქმედოდ შემოღების დღიდან, ესე იგი 1971 წლის 1 იანვრიდან, და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 30 ნოემბრის ბრძანებულების შესაბამისად (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., № 48, მუხ. 514).

4. თუ შრომის ხელშეკრულება შეწყდება საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ, შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად მითითებულ უნდა იქნეს კოდექსის 24-ე, 30-ე, 32-ე, 33-ე, 34-ე, 35-ე და 39-ე მუხლები. ზოგიერთი კატეგორიის მუშათა და მოსამსახურეთა შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის სხვა დამატებით საფუძვლად მითითებულ უნდა იქნეს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ის საკანონმდებლო აქტები, რომლებითაც არის დადგენილი ასეთი საფუძველი.

5. ადმინისტრაციის ბრალით შრომის წიგნაკის გაცემის დაყოვნების შემთხვევაში მუშაკისათვის იძულებით გაცდენილი მთელი დროის საშუალო ხელფასის მიცემის წესი, რომელიც დადგენილია საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 98-ე მუხლის მეოთხე ნაწილით, გამოიყენება აგრეთვე იმ შემთხვევებშიც, როდესაც შრომის წიგნაკის გაცემის დაყოვნებას ადგილი ჰქონდა 1973 წლის 1 ოქტომბრამდე და გრძელდებოდა კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ.

6. კოდექსის 122-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული წესი მუშის ან მოსამსახურის ხელფასიდან მათი წერილობითი თანხმობისა და სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე უკანონოდ დაქვითული თანხის დაბრუნების შესახებ გამოიყენება აგრეთვე იმ უკანონო დაქვითვების მიმართაც, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების დღიდან 1973 წლის 1 ოქტომბრამდე.

7. შრომითი სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლებებისა და მოვალეობების განხორციელებისას კოდექსის ცალკეული ნორმების გამოყენების თავისებურებანი განისაზღვრება ამ ბრძანებულების მე-3—მე-6 მუხლებით.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისი გახადოს საქართველოს სსრ მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 26 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

143 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭოს მუდმივი კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭოს მუდმივი კომისიების დებულება.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 26 სექტემბრის ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების მუდმივი კომისიების დებულება“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 26 ივლისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

144 საქართველოს სსრ წყლის კოდექსის პროექტის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ შემოტანილი საქართველოს სსრ წყლის კოდექსის პროექტი გადაეცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივ კომისიას.

სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის, მრეწველობის და ბუნების დაცვის მუდმივ კომისიებთან ერთად განიხილოს აღნიშნული პროექტი და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 26 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

145 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის წევრებად:

ნელი ვლადიმერის ასული **გურგენიძე** — საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი;

პაჩი ხარიტონის ძე **ზარციცი** — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი;

კუკური ილიას ძე **გვარიშვილი** — გაერთიანება „საქელექტრომანქანის" დირექტორი;

ვლადიმერ ექვთიმეს ძე **ზარელუა** — გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი.

გათავისუფლდნენ ამ კომისიის წევრის მოვალეობისაგან: ნათელა შალვას ასული **ვასაძე**, ია ბორისის ძე **გამრეკელი**, გუგული დომენტის ასული **ავალიანი** და გიორგი გაბრიელის ძე **ყურაშვილი**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 26 ივლისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

146 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ქართული ტექსტის 95[1] მუხლის სანქციის რედაქციული შესწორების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შესწორდეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ქართული ტექსტის 95[1] მუხლი სანქციის ნაწილში და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„ისჯება ჯარიმით გატაცებული ქონების ღირებულების სამმაგ ოდენობამდე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 30 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

147 ამხ. ვ. გ. ბოჭორიშვილის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. ვახტანგ გაბრიელის ძე **ბოჭორიშვილი** საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოვალეობისაგან თანახმად პირადი განცხადებისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 13 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

148 ამხ. გ. ს. ვაშაკიძის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. გრიგოლ სილიბისტროს ძე **ვაშაკიძე** საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 25 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

149 ამხ. ნ. ა. მეძმარიაშვილის საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ნოდარ აკაკის ძე **მეძმარიაშვილი** საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 28 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

150 ამხ. ა. ა. მასხარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რკინიგზის ტრანსპორტსა და მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის უფროსი ამხ. აპოლონ ანდრიას ძე **მასხარაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 10 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

151 ამხ. ბ. ლ. საგინაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის მეორე მდივანი ამხ. გალაქტიონ ლავრენტის ძე **საგინაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 10 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

152 ამხ. მ. ბ. ტყავაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი საინჟინრო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, პერსონალური პენსიონერი ამხ. მარო გიორგის ასული **ტყავაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 18 ივლისი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

153 ამხ. გ. ვ. მისაბიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწლეულთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის საერთო განყოფილების გამგე ამხ. გიორგი ვლადიმერის ძე **მისაბიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 26 ივლისი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1973 წლის 26 ივლისს შედგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც განხილული იქნა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების მეთოთხმეტე მოწვევის ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიების შედეგები. აღინიშნა, რომ მშრომელთა დეპუტატების მეთოთხმეტე მოწვევის ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიები ჩატარდა ორგანიზებულად და მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე. სესიებზე არჩეულ იქნა ერთი საოლქო, 6 რაიონული, ქ. თბილისის 8 რაიონული, 51 საქალაქო, 925 სასოფლო და 50 სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

გასულ მოწვევასთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აღმასკომების შემადგენლობა. თუ წინა მოწვევის საბჭოების პირველ სესიებზე აღმასკომების შემადგენლობაში არჩეულ დეპუტატთა შორის უმაღლესი განათლება ჰქონდა 46,1 პროცენტს, ამჟამად დეპუტატთა 50,6 პროცენტი უმაღლესი განათლებითაა. აღმასკომის შემადგენლობაში არჩეულ ქალთა რაოდენობა 27,9 პროცენტიდან 28,3 პროცენტამდე გაიზარდა, მუშათა და კოლმეურნეთა რაოდენობა — 29,8 პროცენტიდან 35,3 პროცენტამდე, აღმასკომების წევრთა შორის იმატა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა რიცხვმა. სახელდობრ: აღმასკომებში არჩეულია 273 ინჟინერი და ეკონომისტი, 595 სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტი, 736 მასწავლებელი და სხვ.

აღმასკომების შემადგენლობაში შესამჩნევად გაიზარდა ახალგაზრდობის რიცხვი. სულ არჩეულია 861 ახალგაზრდა, მათ შორის 485 ალკკ წევრია.

აღმასკომის თავმჯდომარეებიდან 656 ანუ 59,6 პროცენტი უმაღლესი განათლებითაა, რაც 12,5 პროცენტით მეტია გასულ მოწვევასთან შედარებით.

№ 4
ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების პირველ სესიებზე შეიქმნა 6346 მუდმივი კომისია, რომლებშიც გაერთიანებულია 40853 დეპუტატი ანუ დეპუტატთა საერთო რიცხვის 83,2 პროცენტი.

თითქმის ყველა რაიონში და ქალაქში ადგილობრივი საბჭოს პირველ სესიებზე განხილული და დამტკიცებული იქნა ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმები. გარდა ამისა, ბევრგან განხილული იქნა აგრეთვე სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვადასხვა საკითხი.

მაგალითად, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს სესიაზე განხილულ იქნა მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის შესახებ; სამტრედიის რაიონული საბჭოს სესიაზე — 1973 წელს სოფლის მეურნეობის დარგში სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მდგომარეობის, ცხაკაიას რაიონული საბჭოს სესიაზე — ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებების, ხობის რაიონული საბჭოს სესიაზე — რაიონის სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებში და წარმოება-დაწესებულებებში მშრომელთა წერილების, განცხადებების და საჩივრების განხილვისა და მშრომელთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესების, აბაშის რაიონული საბჭოს სესიაზე — რაიონის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებათა 1973-74 სასწავლო წლისათვის მზადების მდგომარეობის შესახებ და სხვ.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მშრომელთა დეპუტატების მეთოთხმეტე მოწვევის ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიების მუშაობაში ადგილი ჰქონდა ზოგიერთ ნაკლოვანებასაც. კერძოდ, რიგ რაიონში სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებად და მდივნებად არჩეულ იქნენ ისეთი ამხანაგები, რომლებიც თავიანთი განათლების დონით და უნარით ვერ პასუხობენ დღევანდელ მოთხოვნებს. 925 სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარიდან 21 არასრული საშუალო განათლებითაა, ხოლო 5 — დაწყებითი განათლებით. 14 აღმასკომის მდივანს არასრული საშუალო განათლება აქვს.

ქალთა რაოდენობა სასოფლო საბჭოების აღმასკომის თავმჯდომარეთა შორის, გასულ მოწვევასთან შედარებით, 14-ით შემცირდა (გარდაბნის, ონის, სამტრედიის, ხაშურის, ამბროლაურის, თერჯოლის, კასპის, ცხაკაიას რაიონები). სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არც ერთი ქალი არ აურჩევიათ ახალქალაქის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ონის, სამტრედიის, ყაზბეგის, ჩხოროწყუს, ცაგერის, ცხაკაიას, წალკის, წულუკიძის, ხაშურის და ხობის რაიონებში, ხოლო დმანისის, კულაშის, სურამის სადაბო და საჩხერის საქალაქო საბჭოების აღმასკომების შემადგენლობაში არც ერთი უპარტიო არ არის არჩეული.

ზოგიერთ რაიონულ საბჭოს არ შეუქმნია აუცილებლად საჭირო მუდმივი კომისია.

მაგალითად: სამტრედიის რაიონულ საბჭოს არ შეუქმნია სოფლის მეურნეობის და სახალხო განათლების მუდმივი კომისიები, მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატთა რაოდენობა იძლეოდა ამის საშუალებას; ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიები არ შეუქმნიათ ახალქალაქის, კასპის, წყალტუბოს საქალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქო, სამტრედიის, საჩხერის, ქარელის, ჩოხატაურის, წალენჯიხის, წულუკიძის, წყალტუბოს, ხაშურის, ადიგენის, ბორჯომის, ზუგდიდის, თეთრიწყაროს, თერჯოლის, ლანჩხუთის და მაიაკოვსკის რაიონების არც ერთ სასოფლო საბჭოში; სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისიები კი — წალენჯიხის რაიონის არც ერთ სასოფლო საბჭოში, ხოლო ლანჩხუთის რაიონის 15 საბჭოდან ეს კომისია შექმნილია მხოლოდ ერთში.

ადიგენის რაიონული საბჭოს სესიაზე არ აურჩევიათ მუდმივ კომისიათა თავმჯდომარეები, ხოლო ქუთაისის საქალაქო საბჭომ კომისიის თავმჯდომარეები კომისიის წევრებადაც აირჩია.

სერიოზული დარღვევებია დაშვებული რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან ადმინისტრაციული, სამეთვალყურეო და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების შექმნისას.

ადიგენის და ლანჩხუთის რაიონულ საბჭოებს თავიანთ აღმასკომებთან საერთოდ არ შეუქმნიათ სამეთვალყურეო კომისია, ხოლო ბორჯომის რაიონულ საბჭოს — ადმინისტრაციული კომისია. წალენჯიხის და ჩხოროწყუს რაისაბჭოებმა თავიანთ აღმასკომებთან შექმნეს ადმინისტრაციული და სამეთვალყურეო კომისიები 5-5 კაცის შემადგენლობით (ნაცვლად შვიდისა). ბოლნისის, ბოგდანოვკის, ცაგერის, ორჯონიკიძის, წყალტუბოს და ხობის რაიონულმა საბჭოებმა 5-5 კაცი აირჩიეს სამეთვალყურეო კომისიებში. დებულების ანალოგიური დარღვევა დაუშვეს სამტრედიის, ზესტაფონის, გეგეჭკორის რაიონულმა საბჭოებმა, ცხაკაიას, ორჯონიკიძისა და სამტრედიის რაიონულმა საბჭოებმა სამეთვალყურეო კომისიების შემადგენლობაში აირჩიეს შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებების მუშაკები.

გეგეჭკორის და ჩხოროწყუს რაიონული საბჭოების სესიებზე არ აურჩევიათ აღმასკომთან არსებული არასრულწლოვანთა, სამეთვალყურეო და ადმინისტრაციული კომისიების თავმჯდომარეები, ხოლო ჩხოროწყუს რაიონული საბჭოს სესიაზე ერთი და იმავე გადაწყვეტილებით შეიქმნა აღმასკომთან არსებული ადმინისტრაციული, სამეთვალყურეო, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები და აღმასკომის შტატგარეშე საორგანიზაციო განყოფილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

თავიანთ საქმიანობაში მტკიცედ იხელმძღვანელონ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო და რაიონული საბჭოების შესახებ არსებული კანონებით. სისტემატურად შეისწავლონ და განიხილონ სახალხო მეურნეობის განვითარების სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვადასხვა საკითხები. საბჭოების მუდმივი კომისიების, დეპუტატების და აღმასკომების საქმიანობა წარმართონ ისე, რომ იგი ყოველმხრივ ხელს უწყობდეს მიმდინარე წლის გეგმებისა და აღებული ვალდებულების წარმატებით შესრულებას მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში;

უახლოეს დროში ჩაატარონ საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების, მუდმივი კომისიების, არასრულწლოვანთა, სამეთვა-

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

ლყურეო და ადმინისტრაციული კომისიების წევრთა თათბირ-სემინარი მათ უფლება-მოვალეობისა და პრაქტიკული მუშაობის საკითხებზე;

ქმედითი დახმარება გაუწიონ დეპუტატებს ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებათა შესრულების საქმეში; საბჭოს სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე პერიოდულად მოისმინონ აღმასკომის განყოფილებათა გამგეების, წარმოება-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ინფორმაციები ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მდგომარეობის შესახებ;

საბჭოებისა და აღმასკომების საქმიანობაში ფართოდ ჩააბან დეპუტატები, საბჭოების მუდმივი კომისიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათი საშუალებით მოსახლეობას გააცნონ პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებები, სესიებისა და აღმასკომების მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და დარაზმონ ისინი მათს შესასრულებლად;

მიიღონ ზომები იმისათვის, რომ საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატები და მუდმივი კომისიები თავიანთ სხდომებზე სისტემატურად იხილავდნენ საზოგადოებრივი და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, სოციალისტური კანონიერების დაცვის, ქალაქების, დაბებისა და სოფლების კეთილმოწყობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, ვაჭრობის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა აქტუალურ საკითხებს, რომლებიც გამომდინარეობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და მინისტრთა საბჭოს ბოლო დადგენილებებიდან. ამასთან, განსაკუთრებით გააძლიერონ ბრძოლა მუქთახორობის, მექრთამეობის და სხვა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ;

გადასინჯონ და მორიგ სესიებზე გააუქმონ საბჭოების პირველ სესიებზე მიღებული არასწორი გადაწყვეტილებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას დაევალა პერიოდულად შეისწავლოს და განაზოგადოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების და მათი აღმასკომების მუშაობის მოწინავე გამოცდილება. პრაქტიკული დახმარება გაუწიოს საბჭოებს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების მოხსენებითი ბარათი საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების მეთოთხმეტე მოწვევის ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიების შედეგების შესახებ დაეგზავნა საქართველოს სსრ საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმმა 1973 წლის 26 ივლისის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებით და „დედობის მედლით“ დააჯილდოვა 231 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. გორიდან		4
ქ. ტყიბულიდან		3
ქ. ჭიათურიდან		1
ადიგენის	რაიონიდან	2
დმანისის	„	20
თეთრიწყაროს	„	9
თელავის	„	5
თერჯოლის	„	3
ლაგოდეხის	„	16
მარნეულის	„	92
მესტიის	„	7
წალკის	„	44
ჩხოროწყუს	„	7
ხაშურის	„	8
ხობის	„	4
სამხრეთ ოსეთის ა/ო		6